



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 175

2016 წლის 08 თებერვალი

ქ. მცხეთა

„ავტომანქანების გაპროფინანსების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №605 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №15 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტომანქანების გაპროფინანსების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №605 ბრძანებაში, კერძოდ: №2 დანართს დაემატოს მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 რიგითი ნომრები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

11. „TOYOTA PRADO 3.4“, სახ. №OIO-373 - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რეფორმატორები“-ს თავმჯდომარე - გიორგი სარდლიშვილი.

12. „TOYOTA PROGRES“, სახ. №UB-010-ER - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მცხეთის რაიონის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე - იოსებ სამხარაძე.

13. „TOYOTA VITZ“, სახ. №UWU-234 - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - დავით ჯალაბაძე.



14. „OPEL ASTRA“, სახ. №VIP-813 - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს თავმჯდომარე - მალხაზ ნოზაძე.

2. ბრძანება ძალაში გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი



ზურაბ აბესაძე

